დავით ჯავახიშვილი
ისტორიის დოქტორი, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული საააგენტოს თანამშრომელი

ქართველი ემიგრანტების წინააღმდეგ მოწყობილი ტერორისტული აქტების ისტორიიდან / როგორ და რატომ მოკლეს გრიგოლ ვეშაპელი?

საბჭოთა რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის შემდეგ, ქართველ სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მნიშვნელოვანმა ნაწილმა თავი ემიგრაციას შეაფარა.

სამშობლოდან გახიზნულთა შორის აღმოჩნდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ცნობილი სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე – გრიგოლ გიორგის ძე ვეშაპელი (1891-1926), იგივე – ვეშაპიძე. ის გახლდათ პუბლიცისტი, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი და თავმჯდომარის მოადგილე (1917 წლის ივნისიდან), შემდგომში – მიწის მესაკუთრეთა ეროვნული პარტიის დამფუძნებელი და თავმჯდომარე (1918 წლის დეკემბრიდან), ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ – ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე ჯერ პარლამენტში, შემდეგ – დამფუძნებელ კრებაში, ბოლოს კი – დამფუძნებელ კრებაში წარმოქმნილი დემოკრატიული ფრაქციის წევრი (1921 წლის იანვრიდან).

ემიგრაციაში მყოფი გრიგოლ ვეშაპელი ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა. ქვემოთ მოთხრობილია მისი ემიგრანტული მოღვაწეობისა და მოკვლის გარემოებათა შესახებ.

***

1921 წლის 17 მარტს, ბათუმში გამართული დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო და პოლიტიკურ მოღვაწეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ემიგრაციაში გაემგზავრა. მათ არ გაჰყვათ გრიგოლ ვეშაპელი, რომელიც ბათუმში ორი თვე დარჩა.

იმავე წლის მაისში, გრიგოლი ბათუმიდან გაემგზავრა სტამბოლში, სადაც მან რევაზ გაბაშვილთან და დავით ვაჩნაძესთან ერთად მონაწილეობა მიიღო „სტამბოლის პოლიტიკური კომისიის“ მუშაობაში.

საფრანგეთის დედაქალაქში დამკვიდრებულმა გრიგოლ ვეშაპელმა აქტიური პოლიტიკური საქმიანობა განაგრძო. იგი მონაწილეობას იღებდა 1922 წლის იანვარ-თებერვალში ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაში, რომელშიც მის გარდა ქართული მხრიდან მონაწილეობდნენ: აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, სვიმონ მდივანი და ზურაბ ავალიშვილი.

იმავე წლის გაზაფხულიდან გრიგოლი იყო დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი ინტერპარტიულ კომიტეტში.

იმავე წელს გ. ვეშაპელი შედიოდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგაციის შემადგენლობაში, რომელიც გაიგზავნა გენუის კონფერენციაზე საქართველოს საკითხის დასაყენებლად.

იგი მონაწილეობას იღებდა პარიზში გამართული ინტერპარტიული კონფერენციის მუშაობაში, რომელმაც ჩამოაყალიბა „საქართველოს განმათავისუფლებელი კომიტეტი" (იგივე „დამოუკიდებლობის კომიტეტი") და შექმნა „საქართველოს დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმი". ის აირჩიეს აღნიშნული პრეზიდიუმის წევრად. იმავდროულად, იგი იყო ადამიანისა და მოქალაქეთა უფლებების დამცველი ლიგის ქართული ფილიალის წევრიც.

გრიგოლი გახლდათ ფრიად განსწავლული პიროვნება, რომელიც მშობლიურ ენასთან ერთად თავისუფლად ფლობდა: რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებს. იგი ხშირად მოგზაურობდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, იმყოფებოდა იტალიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიასა და სხვ.

პოლიტიკური საქმიანობის პარალელურად გ. ვეშაპელი მუშაობდა რენოს საავტომობილო ქარხანაში მუშად.

1923 წლის დეკემბერში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის მთავარმა კომიტეტმა განიხილა მისი პერსონალური საკითხი შიდაპარტიული დისციპლინის სისტემატური დარღვევის გამო.

მას შემდეგ, რაც ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის" დადგენილება „საქართველოს დამფუძნებელი კრების გაფართოებული პრეზიდიუმის" გაუქმების შესახებ, გ. ვეშაპელი გამოიყვანეს ემიგრანტული მთავრობის შემადგენლობიდან.

1924 წლის მაისიდან გრიგოლ ვეშაპელი მკვეთრად დაუპირისპირდა საქართველოს დევნილ მთავრობას. ივნისში იგი შეხვდა პარიზში ბერლინიდან ჩასულ სსრ კავშირის სავაჭრო წარმომადგენელ

ალექსანდრე სვანიძეს და მას სამშობლოში დაბრუნების სურვილი გაანდო.

გ. ვეშაპელმა დაგმო საქართველოში ანტისაბჭოური შეიარაღებული გამოსვლის იდეა, რომელიც დასავლეთიდან რეალური დახმარების მიღების გარეშე უაზრობად მიიჩნია. იმავე წლის აგვისტო-სექტემბერში საქართველოში მომხდარმა წარუმატებელმა სახალხო აჯანყებამ გრიგოლი საბოლოოდ დაარწმუნა მსგავსი ტიპის ბრძოლის გაგრძელების უპერსპექტივობაში.

იმ დიდმა მსხვერპლმა და რეპრესიებმა, რაც საქართველოში აჯანყების ჩახშობას მოჰყვა, განაპირობა ვეშაპელის მსოფლმხედველობის რადიკალური ცვლილება, რამაც იგი დასავლეთ ევროპაში მოქმედ სსრ კავშირის ხელისუფლების წარმომადგენლებთან დააახლოვა.

ცნობილია, რომ ევროპის იმ ქვეყნებში, სადაც ემიგრანტები ცხოვრობდნენ, სსრ კავშირის ხელისუფლება ფართოდ აწარმოებდა კამპანიას „სამშობლოში დაბრუნების“ მოწოდებით, რაშიც გრიგოლ ვეშაპელიც აღმოჩნდა ჩაბმული.

იმავე წლის 5 ნოემბრიდან გრიგოლმა დაიწყო გამოცემა გაზეთისა „ახალი საქართველო“, რომელიც პარიზსა და ბერლინში იბეჭდებოდა. აღნიშნული გაზეთი მწვავედ აკრიტიკებდა სოციალ-დემოკრატიულ (მენშევიკურ) პარტიას, ემიგრანტულ მთავრობას, ხოლო ქართველ ემიგრანტებს მოუწოდებდა სამშობლოში დაბრუნებისა და იქ არსებულ საბჭოთა ხელისუფლებასთან შერიგებისაკენ. ამ გაზეთს ფარულად აფინანსებდა საბჭოთა ხელისუფლება პარიზში მყოფი სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის საშუალებით [1, 221-259; 2, 90; 3, 263; 4, 233-235, 5, 166].

გრიგოლ ვეშაპელმა სასტიკად გააკრიტიკა 1925 წლის 15 იანვარს პარიზში გამოცემული ნოე ჟორდანიას ბროშურა „რა მოხდა“, მიძღვნილი წინა წელს მომხდარი ანტიბოლშევიკური აჯანყებისადმი.

იმავე წელს გამოცემულ გაზეთში „ახალი საქართველო“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ნოე ჟორდანია აჯანყების შემდეგ“ გ. ვეშაპელი წერდა: „საბოლოო დასკვნა ნოე ჟორდანიასი შემდეგია — გათხრილი საფლავები ერთგულებისაკენ მოგვიწოდებენო! დაშნაკელებიც ასე ამბობდნენ ოსმალეთში: რაღაი ათასი დაიხოცა, კიდევ უნდა გავაგრძელოთო! არა ბატონო, მთელი საქართველო საფლავში არ უნდა ჩაწვეს „ჟორდანიას საქართველოსათვის“ მოტყუებით და-

ღუპულებთან. საქართველოს მომავალი საფლავში კი არა, იმ აკვნებშია, დღეს რომ ირწევა. ახალ საქართველოს სჭირია გამრავლება, გამდიდრება და განათლება და არა აჯანყებანი. ახალი საქართველო ჩეხური გზით წავა და არა პოლონურით. და როგორც მესამე დასის („კვალის“) საქართველო არ გადაყვა 1830 წლების მემკვიდრე ძველი თაობის (ილია ჭავჭავაძის) პოლიტიკურ რომანტიზმს, ისე დღევანდელი საქართველოს ახალი თაობაც ვერ გადაყვება 1924 წლის აჯანყებით გაბრუებულ ჟორდანიას პარტიის მენშევიკურ იდეოლოგიას“ [6].

გრიგოლ ვეშაპელის ასეთი საქმიანობა ეროვნული ინტერესების ღალატად ჩათვალეს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის მებრძოლმა ძალებმა, რომლებიც სრულიად მიუღებლად მიიჩნევდნენ ჩვენი ქვეყნის საოკუპაციო რეჟიმთან რაიმე სახის თანამშრომლობას.

ოთარ ჯანელიძის განმარტებით, გ. ვეშაპელი „ჩადგა კომუნისტური რეჟიმის სამსახურში“, რაც ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ძალებმა „შეუწყნარებლად მიიჩნიეს“ [5, 166].

1925 წლის 9 აგვისტოს, გ. ვეშაპელის ხელმძღვანელობით პარიზის კაფე „ვოლტერში“ შედგა საბჭოთა საქართველოს მოქალაქეთა კოლონიის დამფუძნებელი კრება, რომელიც ჩაშალა ანტისაბჭოურად განწყობილი ახალგაზრდა ემიგრანტების შეჭრამ. ამას მოჰყვა 1926 წლის 28 თებერვლის სისხლიანი შეტაკება, რაც ცნობილია „ოდენკურის ამბების“ სახელწოდებით.

იმავე წელს ვეშაპელმა საქართველოში დაბრუნების ნებართვა ითხოვა, რისი მიზეზიც გახდა როგორც რადიკალურად განწყობილ ქართველ ემიგრანტებთან დაპირისპირება, ასევე საფრანგეთის პოლიციის მეთვალყურეობა.

იმავე წლის 10 ივნისს, პარიზის სასამართლოში გაიმართა სხდომა, სადაც განიხილებოდა ქართველ ემიგრანტთა ჯგუფის მიერ წინა წლის აგვისტოში კაფე „ვოლტერში“ განხორციელებული თავდასხმის საქმე. სხდომის დასრულების შემდეგ, სასამართლო დარბაზიდან გამოსულ გრიგოლ ვეშაპელს ტაქსიში ჩაჯდომისას ზურგში ორი ტყვია დაახალა მასთან დაახლოებულმა ქართველმა ემიგრანტმა ავთანდილ მერაბიშვილმა [2, 90; 3, 263; 4, 235]. არსებობს ცნობა, რომ მისი გვარი იყო მერაბაშვილი [5, 166].

არსებობს ცნობა, რომ ავთანდილ მერაბიშვილი (1902-1974) სწავლობდა თბილისის დრამატულ სტუდიაში. 1924 წლის აჯანყების

დამარცხების შემდეგ, როდესაც ბოლშევიკებმა დაუხვრიტეს მამა და ნათესავები, ის ემიგრაციაში წავიდა. ცხოვრობდა, ბერლინში, ხოლო შემდეგ პარიზში. გაწევრიანდა იმავე წელს შექმნილ ორგანიზაციაში „თეთრი გიორგი" [2, 138]. ვეშაპელის ნეკროლოგი და გამოსათხოვარი წერილები გამოქვეყნდა მისი რედაქტორობით გამომავალ გაზეთში „ახალი საქართველო", ასევე სსრ კავშირში გამომავალ პრესაში, კერძოდ, გაზეთებში – „Заря Востока" [2, 91] და „კომუნისტი" [7].

გრიგოლ ვეშაპელი დაკრძალეს პარიზში, მონპარანასის სასაფლაოზე, საიდანაც მისი ფერფლი, მშობლების თხოვნით, 1928 წელს თბილისში გადმოასვენეს და დიდუბეში დაკრძალეს. დიდუბის სასაფლაოს პანთეონად გადაკეთების (1937 წ.) შემდეგ, იგი გადაასვენეს ვაკის სასაფლაოზე.

ქართული ემიგრაციის ცნობილი წარმომადგენლის, შემდგომში ვერმახტის გენერლის შალვა მაღლაკელიძის (1894-1976) მემუარებში მოთხრობილია კონკრეტულად რა პროცესები უძღვოდა წინ ამ მკვლელობას, რომელიც ფაქტობრივად წარმოადგენდა პოლიტიკური შინაარსის მქონე ტერორისტულ აქტს.

აღნიშნულ მოგონებებში ვკითხულობთ: „1923 წელს ბუდუ მდივანი ჩამოდის პრაღაში და ეძებს ხალხს, რომლებიც დაბრუნდებიან საქართველოში, ე. ი. ვინც ურიგდება საბჭოთა ხელისუფლებას. თან მოყვება ლევან ღოღობერიძე. მათ დავალებული ჰქონდათ, რომ მოენწყოთ იმათი დაბრუნება, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ჟორდანიასი... ეს საქმე ბოლოს მიანდეს ვეშაპელს. ვეშაპელი ხომ ოპოზიციაში იყო აქაც და იქაც, გადაუწყვეტია უკან დაბრუნება. ბუდუ მდივანს მოუხერხებია საიდუმლო მოლაპარაკება მასთან და მისცა გაზეთ „ახალი საქართველოს" გამოცემის საშუალება ქართულად. ეს გაზეთი უკან დამბრუნებელ ქართველთა ორგანო იყო... ვისაც დაბრუნება სურს, გადაწყვიტეს, რომ შეიკრიბებიან პარიზში და იქიდან წავლენ საქართველოში... ვეშაპელის ჯგუფში არის ვინმე მერაბიშვილი, ვეშაპელის ნდობით აღჭურვილი პირი თბილისიდან... შეიკრიბნენ, უკან დაბრუნება ვისაც სურს, დარბაზში, პარიზში... „თეთრი გიორგის" ორგანიზაციამ, რომლის სათავეში იყო ლეო კერესელიძე, მოახდინა თავდასხმა ამ დარბაზში, სადაც არავინ არავის არასდროს არ დასხმია. სიმონიკა ბერეჟიანი იყო, პოეტი და მწერალი, წაიყვანა ბიჭები, შეიჭრა დარბაზში და დააცხრა თავს. იქ არიან საბჭოთა საელჩოს წარმომადგენლებიც. საელჩო ისტუმრებს

ამათ საქართველოში და ამის შესახებ გაზეშიც გამოქვეყნეს ცნობა... შეიჭრნენ „თეთრი გიორგის“ ორგანიზაციის წევრები და დაიწყეს ამათი გარეკვა. გამორეკეს გარეთ. არავინ ამას არ ელოდა. არასდროს ასეთი რა არ მომხდარა და შეშინდნენ. სიმონიკა ღონიერი ბიჭი – თაყაიშვილი იყო, ექვთიმე თაყაიშვილის ძალიან ახლობელი, დეიდას უშვილებია... პარიზის პრესა აყაყანდა — ესენი ვინ არიანო. საშუალებას არ გვაძლევენ, რომ ჩვენი წესები დაცული იყოსო. ამიტომ მისცეს პასუხისგებაში სიმონიკა... პროცესზე ბრალმდებელი იყო... ტორეზის ძმა... ტორეზი კომუნისტური პარტიის ლიდერია. ეს ძმა ცნობილი ადვოკატია, ებრაელია, სინაგოგაში დადის. თავად ტორეზი არ დადის ან როგორ წავა — კომუნისტია, ფრანგი ვარო“ [8, 136-137].

ს. ბერეჟიანის გასამართლების და ვეშაპელის მკვლელობის პერიპეტიების შესახებ საყურადღებო ინფორმაციაა დაცული შ. მაღლაკელიძის მემუარებში, რომელშიც ვკითხულობთ: „ბრალმდებელი, ვეშაპელის და უკან (იგულისხმება სსრკ. დ. ჯ.) დამბრუნებლების ინტერესების დამცველიც იმავე დროს, ეკითხება სიმონიკას: – „ცნობთ თუ არა თავს დამნაშავედო?“ – „ვცნობო“. – „ჩაწერეთ ოქმშიო“ – მოითხოვა ტორეზმა. – „შეიარაღებული თავდასხმა მოაწყვეთო?“ – „დიახო“. – „შეიტანეთ ოქმშიო“ – ისევ მიმართა მდივანს. – „თქვენ თუ გქონდათ იარაღიო?“ – „დიახო“. – „ჩაწერეთო“. ჩაწერეს. ე. ი. სიმონიკა შეიარაღებული დაესხა თავს ამ მიტინგს. – „რა იარაღით იყავი შეიარაღებულიო?“ – „რა იარაღითო“ და ასწია მუჭი მაღლა, – „მაღალი ღმერთის სულის ჩაბერვით და ჩემი მარჯვენა ხელითო“.

– „მონ დიო!“ – იყვირა ტორეზმა, ე. ი. ღმერთო ჩემოო, ამას რას ამბობსო. მას ეგონა, რომ სიმონიკა იტყვის, რევოლვერით ან ხანჯლით ვიყავი შეიარაღებულიო და სიმონიკამ – ჩემი მარჯვენითო. მის პრაქტიკაში ასეთი რამ არ მომხდარა, რომ ბრალდებულმა ჩააწერინოს – „შეიარაღებული ვიყავიო“ და „მარჯვენათი ვიყავი შეიარაღებულიო“. ეს „მონ დიო“ შეიქმნა მერე ყველა ადვოკატისათვის სალამი. მე ვიცნობდი ფრანგ ადვოკატებს. ერთმანეთს „ბონჟურ მუსიეო“ კი არ ეტყოდნენ – „მონ დიოო“ – ისეთი ჩახლეჩლი ხმით, როგორც ტორეზს ჰქონდა...

პროცესი დამთავრდა იმით, რომ გაამართლეს სიმონიკა ბერეჟიანი. გამოდის ვეშაპელი, ტაქსში რომ ჩაჯდეს. თან მოყვება მერაბიშვილი. ტაქსში რომ შედგა ფეხი, მერაბიშვილმა ესროლა ზურგში

რევოლვერი და მოკლა. მოკლა მისივე კაცმა“ [8, 137-138].

1926 წლის 10 ივლისს გამოცემულ გაზეთში „ახალი საქართველო“ გამოქვეყნებულ სტატიაში „ვინაა მკვლელი?“ ავთანდილ მერაბიშვილის შესახებ ვკითხულობთ: „მკვლელი ვერ ასაბუთებს, ოდნავ გარკვევითაც კი, თავის დანაშაულის მოტივებს... გაზეთებში გამოქვეყნებული მისი ჩვენებები სტოვებენ გარკვეულ შთაბეჭდილებას გარედან ნაკარნახევ, ზეპირად შესწავლილ ტრაფარეტულ სიცრუის... ვითომდა მერაბიშვილმა გადასწყვიტა ვეშაპელის მოკვლა მენშევიკების (24 წელში) უგუნური აჯანყების შემდეგ... ამ ხნის განმავლობაში მერაბიშვილი არათუ რამდენჯერმე დაესწრო ვეშაპელის მოხსენებას, არამედ სახლშიც მიდიოდა მასთან და მიმართავდა ხოლმე სხვადასხვა თხოვნებით მრავალგვარ დახმარებაზე... „მე არა ვარ მენშევიკი“ – აცხადებს მერაბიშვილი. „ის არაა მენშევიკი“ – ბანს აძლევს მენშევიკების ცენტრალური კომიტეტი. ჩვენ ვამტკიცებთ კატეგორიულად, რომ ჯერ კიდევ ბერლინში მენშევიკები სთვლიდნენ მერაბიშვილს ერთადერთ საიმედო პირად. ამას ამბობდა 1924 წელში მენშევიკების წარმომადგენელი ბერლინში... გასული წლის 9 აგვისტოს მენშევიკების მიერ კონსპირატიულად მოწყობილ თავდასხმაში ქართულ საბჭოთა კოლონიაზე მერაბიშვილმა მიიღო მონაწილეობა... ქარხანაში, სადაც ის მუშაობდა, მუშებში ითვლებოდა მენშევიკურ ლიდერად... სულ რამდენიმე დღის წინ მკვლელობისა, მერაბიშვილი, თავის ჩვეულებისამებრ, საჭიროებდა ფულს. ერთი დღის წინ კი ის მივიდა ქარხანაში, გაისტუმრა ვალები, იქეიფა მუშებთან და თან ეუბნებოდა: „ახლა ფული არის!“ [9].

სასამართლო პროცესზე სსრ კავშირის ოფიციალურმა წარმომადგენლობამ სცადა, რომ ვეშაპელის მკვლელი წარმოეჩინა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული (მენშევიკური) პარტიის მიერ მართულ პიროვნებად. ამის გამო, ემიგრანტული მთავრობა იძულებული გახდა, რომ მერაბიშვილისათვის დაექირავებინა ცნობილი ადვოკატი – იტალიელი მირო ჯიაფერი.

ფრანგმა პოლიტიკურმა მოღვაწეებმა პიერ რენოდელმა და ედუარდ მარკემ ეს პროცესი საქართველოს დასაცავ აქციად და ჩვენი ქვეყნის ოკუპანტთა გასამართლებლად აქციეს.

საბოლოოდ, სასამართლომ გაიზიარა დაცვის ვერსია, რომლის თანახმადაც მერაბიშვილმა ვეშაპელი სსრ კავშირის ხელისუფლებასთან თანამშრომლობის, ანუ ეროვნული ინტერესების ღალატის გამო მოკლა და მკვლელი შედარებით მსუბუქად დასაჯა. მცირე

ხნის პატიმრობის შემდეგ ავთანდილ მერაბიშვილი გაანთავისუფლეს [4, 235].

მერაბიშვილის სასამართლო პროცესის მესამე დღეს, როდესაც ტორეზმა ბრალდებულისათვის სიკვდილით დასჯის განაჩენის გამოტანა მოითხოვა, სიტყვით გამოვიდა „ვერცხლის საუკუნის" რუსული პოეზიის ერთ-ერთი გამოჩენილი წარმომადგენელი, პოეტი-სიმბოლისტი და მთარგმნელი კონსტანტინე ბალმონტი (1867-1942), რომელმაც განაცხადა: „მე ვარ რუსი ემიგრანტი პოეტი, რომელმაც ვთარგმნე ქართველთა ეროვნული საუნჯე „ვეფხისტყაოსანი" შოთა რუსთაველისა და ამდენად, კარგად ვიცნობ ამ ხალხის უძველეს ტრადიციებს და წეს-ჩვეულებებს. ეს პოემა, რომელიც ქართველი ერის ზნეობის უმაღლესი გამოხატულებაა, გმობს მეგობრის და იდეის ღალატს! განსვენებულმა გრიგოლ ვეშაპელმა უღალატა თავის მეგობრებს და პოლიტიკურ იდეებს – დაპყრობილ სამშობლოში დამპყრობლებთან შერიგება და თანამშრომლობა მოუწოდა თავის თანამემამულეებს, რაც მას არ აპატიეს!" ამ გამოსვლას იმდენად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ფრანგ მოსამართლეებზე, რომ ავთანდილ მერაბიშვილი გადარჩა სასიკვდილო განაჩენს და მას მხოლოდ საფრანგეთიდან გასახლება მიუსაჯეს" [1, 234-235].

საყურადღებოა, რომ ქართული ემიგრაციის გარკვეული ნაწილი თავიდანვე ეჭვობდა, რომ ავთანდილ მერაბიშვილი იყო სსრ კავშირის უშიშროების მიერ დაქირავებული მკვლელი, რომელიც საგანგებოდ მიუგზავნეს ვეშაპელს, რათა დაახლოვებოდა და საჭირო მომენტში ფიზიკურად გაენადგურებინა. ეს ეჭვი კიდევ უფრო გამყარდა მას შემდეგ, რაც სასჯელმოხდილი და ჯერ ბელგიაში, ხოლო შემდეგ ჩილეში გადასახლებული მერაბიშვილი, განსხვავებით ქართველი ემიგრანტების უმრავლესობისაგან, უჩვეულოდ მდიდრულად ცხოვრობდა.

შ. მაღლაკელიძე იგონებდა: „აზრი ემიგრაციისა იყო, რომ მერაბიშვილი ჩავთვალეთ პროვოკატორად, საბჭოების მიერ დაქირავებულ კაცად, ე. ი. მერაბიშვილი ვეშაპელთან შევიდა განგებ. საბჭოთა მთავრობისაგან ჰქონდა დავალებული ვეშაპელის მოკვლა. მისი უკან დაბრუნება არ იყო სასურველი, იმიტომ, რომ უკიდურესი მემარჯვენე იყო. გამოიყენეს ჟორდანიას წინააღმდეგ, მაგრამ ასეთი კაცის ყოლა მათთვისაც არ იყო სასურველი. გამოიყენეს და მოკლეს... მერაბიშვილი ბელგიაში გადაასახლეს. ვითომ მდიდარი ბელგიელი ქალი შეურთავს, მაგრამ ჩვენ ვეჭვობდით, რომ ეს მოსკოვის

ფულია. მერე გადავიდა ჩილეში თავისუფლად. შვილები რომ შეეძინათ, ვიქტორ ნოზაძე აიყვანა ქართული ენის მასწავლებლად, ჩილეში წაიყვანა. ზოგიერთები მაინც პატრიოტად თვლიდნენ. მე კი კატეგორიულად ვამბობდი, რომ პროვოკატორია-თქო. მერე ამერიკაში გადავიდა. გაუხსნია დიდი რესტორანი და ეს რესტორანია ბუდე ჩვენი სუხიშვილისა და რამიშვილის. ანზორ კავსაძე ყოფილა, ჩემი ყურით მოვისმინე, რომ ყვებოდა რუსთაველზე – „რა პატივი გვცა, ჩიტის რძე არ აკლდა, რანაირად შეგვხვდა მერაბიშვილიო". ამიტომ მე ვთვლი, რომ მე ვიყავი მართალი. მერაბიშვილი პროვოკატორი იყო. მოკლეს კაცი, რომელიც რომ დაბრუნდებოდა და ნახავდა რა არის და როგორ არის – ამას იტყოდა და რა საჭირო იყო ასეთი კაცი, რომელიც სულ რუსეთის წინააღმდეგ ილაპარაკებდა. ასე, რომ ორმოცდახუთ კაცს რომ ვახშამს გაუმართავს, საბჭოეთიდან ჩასულებს („ჩიტის რძე არ აკლდაო") და მოკლა კაცი, რომელიც უკან ბრუნდებოდა – საბჭოეთში, თან ჟორდანიას და ემიგრაციას ებრძოდა, როგორც რეაქციას, ახლა ხომ მაინც ნათელია.

მისი პროვოკატორობა იქიდანაც ჩანს, რომ როდესაც ომი თავდებოდა, ჩემი ბიძაშვილი ვარლამ მაღლაკელიძე, რომელიც ტყვედ იყო ჩემთან ჩავარდნილი... ვენის სადგურზე... ვხედავ ეკამათება ვიღაცას. მე მერაბიშვილი არ მენახა, არ ვიცნობდი პირადად. თურმე ვენაში მოსულა. ე. ი. ეს კაცი მუშაობს ბოლშევიკების და საბჭოების წინააღმდეგ ემიგრაციაში მაშინ, როდესაც არცერთ ორგანიზაციაში არ შედიოდა და ედავება ჩემს ბიძაშვილს. ჩემი ბიძაშვილი იცავს საბჭოების პოზიციას. მერაბიშვილი კი – „თქვენ ასეთები ხართ, თქვენ ისეთები ხართ", ე. ი. ზედმეტად ილანძღება, დიდ პატრიოტობას იჩენს. მაშინ ვეაპელის მიკვლა ჩვენგან დავალებით უნდა ყოფილიყო, მაგრამ ეს ასე არ არის. რამიშვილს მისთვის ეს არ მიუნდვია. ეს ფაქტია. მერაბიშვილი არავის არ ეკარებოდა... მე ჩავერიე ლაპარაკში. რა გვარი ბრძანდებით-მეთქი. მერაბიშვილი გახლავართო. არა ხართ პატიოსანი კაცი-თქო. მე არც ჩემი ბიძაშვილი მომწონს, მაგრამ ამაზე მეტი ქომაგი საბჭოთა ხელისუფლებისა თქვენ ბრძანდებით-თქო. ხმა არ ამოუღია და წავიდა" [8, 138-139].

აქვე განვმარტავთ, რომ ზემოხსენებული ანზორ კავსაძე (1930-2008) იყო საგუნდო რეჟისორი და საქართველოს სახალხო არტისტი.

არსებობს ცნობა, რომ პატიმრობიდან განთავისუფლებისა და საფრანგეთიდან გაძევების შემდეგ, ავთანდილ მერაბიშვილი ცხოვ-

რობდა ჯერ ბელგიაში, შემდეგ – ბერლინში. ბერლინის ბირჟაზე ვაჭრობით მან მნიშვნელოვანი ქონება დააგროვა. II მსოფლიო ომის შემდეგ, სსრ კავშირმა მოითხოვა მისი გადაცემა, ნაცისტებთან თანამშრომლობაში ბრალდებულ სხვა ქართველებთან ერთად. ამის გამო, იგი გადასახლდა ჯერ არგენტინაში, შემდეგ ბოლივიაში, ბოლოს კი ჩილეში, სადაც გვარჯილისა და სპილენძის საბადოები შეიძინა და სოლიდური ქონების პატრონი გახდა. სანტ-იაგო დე ჩილეს მახლობლად, ატლანტიკის ოკეანის სანაპიროზე მან შექმნა რესტორნების ქსელი და ააშენა სააგარაკო ქალაქი, სადაც ქუჩებს დაარქვა ქართველი მწერლების და პოეტების, მათ შორის, შოთა რუსთაველის (ცენტრალურ პროსპექტს), ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის და ვაჟა-ფშაველას სახელები. ჰყავდა მეუღლე და ოთხი შვილი: გიორგი, ივანე, ტარიელი და ლონდა. 1954 წელს თავისი შვილებისათვის ქართული ენის მასწავლებლად ჩილეში მიიწვია ვიქტორ ნოზაძე, რომელსაც დაუფინანსა ოპერაცია და რუსთველოლოგიური ნაშრომების ოთხი ტომი. 1966 წელს მისი დაფინანსებით ესპანურ ენაზე გამოიცა „ვეფხისტყაოსანი", რომელიც ვ. ნოზაძის დახმარებით თარგმნა გუსტავო დელა ტორემ. 1968 წელს, თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავზე, სურდა რომ მისთვის საჩუქრად გადაეცა თავისი აშენებული ქალაქი, მაგრამ საბჭოთა ხელისუფლებამ ეს არ მოინდომა. მასპინძლობას უწევდა ჩილეში ჩასულ ყველა ქართველს, მათ შორის სუხიშვილების ანსამბლს, პოეტ იოსებ ნონეშვილს და სხვებს. 1974 წელს თავი მოიკლა გაურკვეველ ვითარებაში. ვარაუდობდნენ, რომ ამ საქმეში სსრკ უშიშროების ხელი ერია [2, 139].

* * *

ამრიგად, საქართველოს პირველი რესპუბლიკის თვალსაჩინო მოღვაწემ – გრიგოლ გიორგის ძე ვეშაპელმა (1892-1926) ემიგრაციაში წასვლის შემდეგ სიცოცხლე ტრაგიკულად დაასრულა. მისი მოკვლის გარემოებათა შესახებ განსხვავებულ და ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავ ინფორმაციას გვაწვდის იმდროინდელი ემიგრანტული პრესა, მემუარული და სამეცნიერო ლიტერატურა. თუმცა ერთი რამ უდავოა – იგი იყო 1921 წელს სამშობლოდან წასული პირველი ქართველი ემიგრანტი, რომელიც ტერორისტული აქტის მსხვერპლი გახდა.

დამოწმებული წყაროები და ლიტერატურა:

1. გურამ შარაძე, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის ისტორია, ტომი I, თბილისი, 2001.
2. ქართველები უცხოეთში, დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატის გამოცემა, ავტორ-შემდგენლები: რუსუდან დაუშვილი, გრიგოლ კალანდაძე, რუსუდან კობახიძე, გოჩა ჯაფარიძე, თემურ ტარტარაშვილი, წიგნი I, თბილისი, 2012.
3. უშანგი სიდამონიძე, ვეშაპიძე (ვეშაპელი) გრიგოლ გიორგის ძე, ენციკლოპედია „საქართველო", ტომი 3, თბილისი, 2014.
4. ირაკლი ხვადაგიანი, საქართველოს დამფუძნებელი კრება, თბილისი, 2016.
5. ოთარ ჯანელიძე, ვეშაპელი გრიგოლ გიორგის ძე, ენციკლოპედიური ლექსიკონი „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა", თბილისი, 2018.
6. გრიგოლ ვეშაპელი, ნოე ჟორდანია აჯანყების შემდეგ, გაზეთი „ახალი საქართველო", პარიზი, 1925, №6.
7. გაზეთი „კომუნისტი", თბილისი, 13 ივნისი, 1926.
8. შალვა მაღლაკელიძე, მოგონებანი, წიგნში: „ქართველები გერმანული დროშის ქვეშ მეორე მსოფლიო ომში", მასალები გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ვიქტორ რცხილაძემ, თბილისი, 1994.
9. „ვინაა მკვლელი?", გაზეთი „ახალი საქართველო", პარიზი, 1926, №26.

Davit Javakhishvili
Doctor of History, National Agency for Cultural Heritage Preservation of Georgia

From the History of the Terrorist Acts Conducted Against Georgian Emigrants / How and why Grigol Veshapeli was Murdered?

Summary

After the occupation of the Georgian Democractic Republic by the military forces of the Soviet Russia, important part of Georgian public and political figures escaped to foreign countries. Among them was Grigol Giorgi Veshapeli (1891-1926), a prominant public and political figure of Georgia's first republic, the publicist (known under the name – Veshapidze), and the founder and Deputy Chair of the National Democractic Party (from January of 1917). Later he founded the Land Property Holders National Party and was its Chair from december of 1918. Grigol Veshapeli also was the Deputy Chair of the National Council, the Chair of the National Democracts' Parliamentary faction, the National Democracts' Deputy Chair in the Council, and later member of the Democratic fation established in the Constituent Assambly of Georgia (from January of 1921).

Grigol Veshapeli was murdered in Paris in 1926 by the terrorist act. The article tells about the story of the work and murder of this prominant Georgian public and political figure.